



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



არბიტრაჟით და მედიაციით სარგებლობის კვალიფიკაციის კვლევა

ანალიტიკური ანგარიში
02/2021

წინამდებარე კვლევა მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური კვლევისა და ანალიტიკის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.



ინსტიტუტი კვლევისა და ანალიტიკის
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

სარჩევი

4 კვლევის მეთოდოლოგია

5 არბიტრაჟით სარგებლობის კვალიფიკაციის კვლევის შედეგები

5 ძირითადი მიგნებები

8 რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

10 ინფორმირებულობა და მოლოდინები

13 არბიტრაჟის პროცესის შეფასება

17 არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმის შეფასება

25 არბიტრაჟის ზოგადი შეფასება

33 მედიაციით სარგებლობის კვალიფიკაციის კვლევის შედეგები

33 ძირითადი მიგნებები

35 რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

38 ინფორმირებულობა და მოლოდინები

41 მედიაციის პროცესისა და მედიატორის პროფესიონალიზმის შეფასება

54 მედიაციის ზოგადი შეფასება

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო დავის ალტერნატიული გზების - არბიტრაჟით და მედიაციით სარგებლობის კმაყოფილების შესწავლა.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ✓ მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონის, ინფორმაციის მიღების გზების და არბიტრაჟით/მედიაციით დავის განხილვამდე არსებული მოლოდინების გარკვევა;
- ✓ არბიტრაჟის/მედიაციის პროცესის შეფასება;
- ✓ არბიტრის/მედიატორის პროფესიონალიზმის და საარბიტრაჟო და მედიაციის ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობის შეფასება;
- ✓ არბიტრაჟით/მედიაციით სარგებლობის უპირატესობების და ნაკლოვანებების გამოვლენა სასამართლოსთან შედარებით.

კვლევის დამკვეთმა ორგანიზაციამ - გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP), სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტს მიაწოდა როგორც არბიტრაჟის, ისე მედიაციის მომხმარებელთა საკონტაქტო ინფორმაცია, სადაც მითითებული იყო მომხმარებ-

ბელთა სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი.

მონოდებული სიის მიხედვით, 61 პირი არბიტრაჟის, ხოლო 82 - მედიაციის მომხმარებელს წარმოადგენდა.

თითოეულ მომხმარებელთან დაკავშირების შედეგად, არბიტრაჟის შემთხვევაში გამოიკითხა 53 მომხმარებელი, 6-მა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, ხოლო 2-თან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება მედიაციის მომხმარებლებს, კვლევის ფარგლებში სულ 67 მომხმარებელი გამოიკითხა, 15-თან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 24 იანვრიდან 3 თებერვლამდე პერიოდში.

მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენლია არბიტრაჟით და მედიაციით სარგებლობის კმაყოფილების 2021 წლის იანვარში ჩატარებული კვლევის შედეგები. აგრეთვე, შედეგები შედარებულია 2020 წლის იანვარში თითქმის იდენტური ინსტრუმენტით (კითხვა-რით) ჩატარებული კვლევის შედეგებთან.

კვლევის მეთოდი:

☎ სატელეფონო გამოკითხვა

კვლევის ინსტრუმენტი:

📄 დახურული და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვებისგან შემდგარი 2 კითხვარი - ერთი არბიტრაჟის, ხოლო მეორე მედიაციის მომხმარებელთათვის.

სამიზნე ჯგუფი:

👥 არბიტრაჟის და მედიაციის მომხმარებლები

არბიტრაჟით სარგებლობის კმაყოფილების კვლევის შედეგები

ძირითადი მიგნებები

არბიტრაჟით კმაყოფილების კვლევამ გამოავლინა ძირითადი მიგნებები, რომლებიც ეხება მომხმარებელთა არბიტრაჟით ინფორმირებულობას, მოლოდინებს, პროცესის შეფასებას და არბიტრის პროფესიონალიზმს. კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, შეფასდა საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

რესპონდენტთა უმრავლესობა (56.6%) ქალია, ყველაზე მეტი რესპონდენტი 25-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელია (52.8%). გამოკვეთილი უმრავლესობა ცხოვრობს თბილისში (84.9%), ხოლო მათგან ყველას უმაღლესი განათლება აქვს. 98.1% დასაქმებულია კერძო სექტორში. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები, 2020 წელს ჩატარებული კვლევის რესპონდენტების მსგავსია.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა - 88.7% - დავის წარმოშობამდე ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას არბიტრაჟის შესახებ. ინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებელი იმით აიხსნება, რომ არბიტრაჟის დავის დროს რესპონდენტთა 98%-ს წარმოადგენს ადვოკატი. რესპონდენტების 94.3%-მა არბიტრაჟის შესახებ საკუთარი პროფესიული (იურიდიული) საქმიანობიდან შეიტყო. საგულისხმოა, რომ 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში რესპონდენტების 3/4-ი (75%) ფლობდა ინფორმაციას არბიტრაჟის შესახებ, საკუთარი (იურიდიული) პროფესიიდან გამომდინარე. 2021 წელს ეს მონაცემი 94%-მდე გაიზარდა.

ვიდრე პირველად ისარგებლებდნენ არბიტრაჟით, რესპონდენტთა გამოკვეთილ უმრავლესობას (71.7%) დადებითი მოლოდინები ჰქონდა არბიტრაჟთან დაკავშირებით. რესპონდენტების 66.2% ამბობს, რომ დავის არბიტრაჟით განხილვა საკუთარი, მეორე მხარის ან ადვოკატის ინიციატივა იყო. დაახლოებით 34%-ის თქმით, დავის არბიტრაჟით განხილვა სტანდარტულ პირობას წარმოადგენდა. 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებისას იკვეთება განსხვავება. 2020 წელს უფრო მეტი, რესპონდენტების ნახევარი (50%) ამბობდა, რომ დავის არბიტრაჟით განხილვა მოდავეებს შორის მოლაპარაკების სტანდარტულ პირობას წარმო-

ადგენდა, ხოლო უფრო ნაკლები - 44.2% - აცხადებდა, რომ დავის არბიტრაჟით განხილვა საკუთარი, მეორე მხარის, ან ადვოკატის ინიციატივა იყო.

არბიტრაჟის გზით ქონებრივი ხასიათის დავის მოგვარება აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში (96.2%) ხელშეკრულებით (კონტრაქტით) წინასწარ განსაზღვრული იყო. რესპონდენტთა იმ ნაწილის 84%, რომელთა ქონებრივი დავაც წინასწარ ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ხელშეკრულების გაფორმებისას ზუსტ ინფორმაციას ფლობდა იმის შესახებ, რომ დავას არბიტრაჟი განიხილავდა. საარბიტრაჟო დავის ბოლო გამოცდილების მიხედვით, რესპონდენტების 88.7% საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენელი, ხოლო 9.4% საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენელი იყო დავის დროს. კვლევის ორივე ეტაპის მონაცემების შედარება მნიშვნელოვან განსხვავებებს არ გამოკვეთს. თუმცა, 2021 წელს იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც საარბიტრაჟო მოსარჩელის მხარეს წარმოადგენდნენ უფრო მეტია, ვიდრე 2020 წელს (2020: 75%; 2021: 88.7%).

დავის ბოლო გამოცდილების მიხედვით, უშუალოდ პროცესში, ძირითადად, მოსარჩელის წარმომადგენლები/ადვოკატები (32.7%), მოპასუხის ადვოკატები (27.5%), ან საარბიტრაჟო დავის მოპასუხე მხარე (19%) იყვნენ ჩართულნი. საარბიტრაჟო დავის განხილვა უმრავლეს შემთხვევაში (60.4%) ზეპირი ფორმით, ხოლო 34.4%-ის შემთხვევაში - მხოლოდ საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მოხდა. საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების ადგილი უმეტეს შემთხვევაში (45.3%) საარბიტრაჟო ცენტრმა შესთავაზა მხარეებს, ხოლო საქმეების 32.1% შემთხვევაში, საარბიტრაჟო სხდომის ადგილი არბიტრმა შესთავაზა დავის მხარეებს. კვლევის ორი ტალღის შედეგების შედარებით იკვეთება, რომ 2020 წელს ნახევარზე მეტია იმ მომხმარებელთა რაოდენობა, ვინც თქვა, რომ საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების ადგილი ცენტრმა შესთავაზა მხარეებს, მაშინ, როცა 2021 წელს ეს რაოდენობა ნახევარზე ნაკლებია.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა გავლენა იქონია COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ არბიტრაჟის მუშაობაზე; კერძოდ, რა ფორმით ჩატარდა საარბიტრაჟო სხდომები.

როგორც კვლევის შედეგების მიხედვით იკვეთება, საარბიტრაჟო სხდომების 66% პირისპირ ფორმატში, ხოლო 28.3% - დისტანციურად ჩატარდა. იმ რესპონდენტთა შორის, რომელთა საქმეების განხილვა დისტანციურად მოხდა, 44.4% დადებითად, ხოლო 22.2% - უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს მუშაობის ამ რეჟიმს. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა - 84.9% - დადებითად, ან უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს იმ გარემოს, სადაც საარბიტრაჟო განხილვები ჩატარდა.

საარბიტრაჟო დავები, როგორც წესი (86.8%), ერთი არბიტრის მიერ იქნა განხილული. რაც შეეხება არბიტრის დანიშვნას, უმრავლეს შემთხვევაში (89.6%) მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრზე და საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა დანიშნა არბიტრი, ¼-ზე მეტ შემთხვევაში (28.6%) მხარეები შეთანხმდნენ არბიტრის ვინაობის შესახებ. საგულისხმოა, რომ 2021 წელს გაცილებით მეტია შემთხვევა, როდესაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრზე და საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა/არბიტრაჟმა დანიშნა არბიტრი (2020წ. - 61.5%; 2021 - 89.6%).

კვლევის ფარგლებში შეფასდა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩა არბიტრი/არბიტრები. ორივე მხარის მიერ შეთანხმებით შერჩეული არბიტრის/არბიტრების დროს თანაბრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კარგი რეპუტაცია (21.7%), იურიდიული განათლების ქონა (21.7%) და არბიტრის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (21.7%). საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა არბიტრის შერჩევისას იხელმძღვანელა არბიტრის იურიდიული განათლებით (30.9%) და არბიტრის რეპუტაციით 20.6%. 2020 წლის კვლევის შედეგებთან შედარებისას იკვეთება, რომ არბიტრის შერჩევისას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არბიტრის კარგი რეპუტაცია (38.2%), ხოლო 2021 წელს, 21.7% ამბობს იგივეს. 2020 წლის კვლევაში 21.7% სხვა პასუხებიც დაფიქსირდა - იურიდიული გამოცდილება (21.7%) და არბიტრების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (21.7%).

არბიტრების პროფესიონალიზმში 11 პარამეტრის (კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, ნეიტრალურობის, სამართლიანობის, ნდობის მოპოვების უნარის, სფეროს ცოდნის, კვალიფიციურობის, მხარეების ინფორმირების, მორიგებაზე/შეთანხმებაზე ორიენტირებულობის, კონფიდენციალობის დაცვის, მოქნილობის, გადაწყვეტილების დროულად მიღების და პროცესის მართვის უნარების) მიხედვით, 5 ქულიან სკალაზე შეფასდა. არბიტრის პროფესიონალიზმის შეფასების სტატისტიკურმა ანალიზმა ცენტრალური ტენდენცი-

ების მიხედვით აჩვენა, რომ თითოეული ინდიკატორის შემთხვევაში შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) მერყეობს 4.35-დან 4.57-მდე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტთა შეფასებები თითოეული პარამეტრის შემთხვევაში ცალსახად დადებით ველში ექცევა.

იგივე შეიძლება ითქვას საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობის შეფასებაზეც, ცენტრალური ტენდენციების მიხედვით, თითოეული ინდიკატორის შემთხვევაში შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean), 5 ქულიან სკალაზე, მერყეობს 4.5-დან 4.7-მდე, რაც დადებითი შეფასების მაჩვენებელია. იმის მიუხედავად, რომ დადებითი შეფასება 2021 წლის კვლევაშიც ნარჩუნდება, საგულისხმოა, რომ 2021 წელს ნაკლებია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც არბიტრების პროფესიონალიზმს ძალზე დადებითად აფასებენ სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. 2020 წელს, შეფასების საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა - 4.5-დან 4.8-მდე, ხოლო 2021 წელს 4.35-დან - 4.57-მდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის მომხმარებლები, საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობას უფრო დადებითად 2021 წელს აფასებენ, ვიდრე 2020-ში. 2021 წელს ყველაზე დადებითად შეფასდა შემდეგი პარამეტრები: მოქნილობა 83% და ელექტრონული კომუნიკაცია 83%. 2021 წელს, 2020 წელს ჩატარებული კვლევის მსგავსად, თითოეული პარამეტრის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) დადებით ველში ექცევა, თუმცა, 2021 წელს მეტია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, ძალზე დადებითად აფასებენ საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობას.

რესპონდენტების ბოლო გამოცდილების მიხედვით, საარბიტრაჟო დავა უმრავლეს შემთხვევაში (60.4%) მათ სასარგებლოდ გადაწყდა, ხოლო 22.6%-ის შემთხვევაში მათი მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. რესპონდენტების აზრით, არბიტრის/არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება 90%-ის შემთხვევაში დასაბუთებული იყო. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, რესპონდენტების 90.6% მიიჩნევს, რომ არბიტრის/არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო, მაშინ, როცა 2020 წლის კვლევაში იგივეს უფრო ნაკლები - 78.8% ფიქრობს.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 81.7%-მა მოითხოვა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, მხოლოდ 13.2%-ის შემთხვევაში მხარეებმა საარბიტრა-

ჟო გადანწყვეტილება ნებაყოფლობით აღასრულეს. კვლევის ორივე ეტაპის შედეგებით, საარბიტრაჟო გადანწყვეტილების აღსრულების შესახებ რესპონდენტების პასუხებში არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა.


რესპონდენტების აზრით, მთავარი უპირატესობა, რაც არბიტრაჟს აქვს სასამართლოსთან შედარებით, განხილვის მცირე პერიოდია (36.8%); აგრეთვე, სხვა პასუხებს შორის აღსანიშნავია - პროცესის მიმდინარეობა მშვიდ ატმოსფეროში (24.1%) და პროცესი წარმოებს მოდავე მხარეების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული წესებით (12.8%).

რაც შეეხება სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟის ნაკლოვანებებს, რესპონდენტების 1/3-ზე მეტის (38.2%) შეფასებით, ბევრი დრო მიაქვს გადანწყვეტილების ცნობა-აღსრულებას. 20.2%-ის აზრით, არბიტრაჟის მომსახურება ძვირია, ხოლო 15.7% ფიქრობს, რომ ზოგიერთი ბანკი/საფინანსო ინსტიტუტი პირდაპირ სთავაზობს მომხმარებელს არბიტრაჟს და არ უტოვებს მას არჩევანს.


რესპონდენტების 62.3% ერთმნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით; 28.3%-თვის კი არბიტრაჟი უფრო მისაღებია, ვიდრე არა. დაახლოებით იგივე შედეგებია კითხვაზე, რომელიც ეხება რჩევის მიცემას სხვისთვის, ისარგებლოს თუ არა არბიტრაჟის მომსახურებით - 62.3% ურჩევდა სხვას, ხოლო 24.5% უფრო ურჩევდა, ვიდრე არა. მთლიანობაში გამოკითხულთა უმრავლესობა სავსებით კმაყოფილია (35.8%) ან კმაყოფილია (56.3%) არბიტრაჟის მომსახურებით. უკმაყოფილებას მხოლოდ რესპონდენტთა 3.8% გამოთქვამს. წინა ეტაპის კვლევის შედეგებთან შედარებისას იკვეთება, რომ მცირედით შემცირებულია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც სავსებით კმაყოფილნი არიან მთლიანობაში არბიტრაჟის მომსახურებით. 2020 წელს 40.4%-ი იყო ასეთი რესპონდენტი, ხოლო 2021 წელს 35.8%-ია.

რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

2020 წელს ჩატარებული კვლევის მსგავსად, 2021 წელს გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობაც ქალია - 56.6%, ხოლო 43.4% - კაცი (იხ. დიაგრამა #1):




რაც შეეხება რესპონდენტთა ასაკობრივ ჯგუფებს - ნახევარზე მეტი - 52.8% წარმოადგენს 25-34 ასაკობრივ ჯგუფს. მეორე დიდი ჯგუფი - 35.8% - 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის წევრია (იხ. დიაგრამა #2):




წინა ეტაპის შედეგების მსგავსად, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა თბილისში ცხოვრობს და მუშაობს 84.9%. დანარჩენ რეგიონებს შორის აღსანიშნავია ბათუმი (11.3%). კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტს გააჩნია უმაღლესი განათლება. იგივე შედეგია 2020 წელს ჩატარებულ კვლევაშიც. (იხ. დიაგრამა #3):

დიაგრამა #3



დიაგრამა #4



ორივე ეტაპის კვლევის შედეგების შედარებით არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა, 2020 წელს 90.4% იყო დასაქმებული კერძო სექტორში. 2021 წელს ეს მაჩვენებელი 98.1%-მდე გაიზარდა.


ინფორმირებულობა და მოლოდინები

არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობის თემის ფარგლებში შესწავლილი იქნა რესპონდენტების ინფორმირებულობის დონე, ინფორმაციის მიღების გზები და არბიტრაჟით დავის განხილვამდე არსებული მოლოდინები. როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა - 88.7% - დავის წარმოშობამდე ფლობდა სრულყოფილ ინფორმაციას. გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა რესპონდენტთა 7.5%. ინფორმირებულობის მაღალი მაჩვენებელი იმით აიხსნება, რომ არბიტრაჟის დავის დროს რეს-

პონდენტთა 98% წარმოადგენს ადამიანს, რომელიც ამ დავაში იყო ადვოკატი. რესპონდენტთა 94.3% არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებული გახდა საკუთარი (იურიდიული) პროფესიიდან გამომდინარე, მცირე ნაწილის 3.8% ინფორმირებულობის წყარო ნაცნობებია. 1.9%-მა არბიტრაჟის შესახებ ონლაინ საინფორმაციო საშუალებით შეიტყო (იხ. დიაგრამები #5 და #6):


დიაგრამა #5

ფლობდით თუ არა ინფორმაციას არბიტრაჟის შესახებ დავის წარმოშობამდე?



დიაგრამა #6

საიდან გაიგეთ არბიტრაჟის შესახებ?




საგულისხმოა, რომ 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში რესპონდენტების ¾ (75%) ფლობდა ინფორმაციას არბიტრაჟის შესახებ, საკუთარი (იურიდიული) პროფესიიდან გამომდინარე. 2021 წელს ეს მონაცემი გაიზარდა 94%-მდე. აგრეთვე, 2020 წელს ინფორმაციის წყაროები არბიტრაჟის შესახებ უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე 2021 წელს არის.

არბიტრაჟით პირველად სარგებლობამდე, რესპონდენტების თითქმის 2/3-ს (71.7%) დადებითი მოლოდინები ჰქონდა არბიტრაჟთან დაკავშირებით, ხოლო 15.1%-ს უფრო დადებითი მოლოდინები ჰქონდა, ვიდრე უარყოფითი. მეტ-ნაკლებად უარყოფითი მოლოდინების მქონეთა წილი უაღრესად მცირეა (იხილეთ დიაგრამა #7):

დიაგრამა #7

როგორი მოლოდინები გქონდათ არბიტრაჟთან დაკავშირებით არბიტრაჟით დავის განხილვამდე? (N=53)




2020 წელს ჩატარებულ კვლევის შედეგებთან შედარებით, დავის განხილვამდე არსებულ მოლოდინებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განსხვავებული შედეგები არ გამოიკვეთა.

რესპონდენტების თითქმის ნახევარი (47.2%) ამბობს, რომ დავის არბიტრაჟით განხილვა ჩემი/მხარის ინიციატივა იყო, ხოლო 1/3-ის (34%) თქმით, დავის არბიტრაჟით განხილვა მოდავეებს შორის მოლაპარაკების სტანდარტულ პირობას წარმოადგენდა (იხილეთ დიაგრამა #8):

დიაგრამა #8

ვისი ინიციატივა იყო დავის არბიტრაჟით განხილვა? (N=53)




■ 2021 წ. (N=53) ■ 2020 წ. (N=52)

2020 წელს რესპონდენტების ნახევარი (50%) ამბობდა, რომ დავის არბიტრაჟით განხილვა მოდავეებს შორის მოლაპარაკების სტანდარტულ პირობას წარმოადგენდა, ხოლო ნახევარზე ნაკლები - 44.2%, აცხადებდა რომ დავის არბიტრაჟით განხილვა საკუთარი, ადვოკატის, ან მეორე მხარის ინიციატივა იყო.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, არბიტრაჟის გზით ქონებრივი ხასიათის დავის მოგვარება შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში (96.2%) ხელშეკრულებით (კონტრაქტით) წინასწარ იყო განსაზღვრული. შესაბამისად, რესპონდენტთა 94.1%-ს, ხელშეკრულების გაფორმებისას, ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა იმის შესახებ, რომ დავას არბიტრაჟი განიხილავდა (იხილეთ დიაგრამა #9 და #10):


დიაგრამა #9

არბიტრაჟის გზით ქონებრივი ხასიათის დავის მოგვარება იყო: (N=53)



დიაგრამა #10

ხელშეკრულების გაფორმების დროს გქონდათ თუ არა ინფორმაცია, რომ თქვენსა და მეორე მხარეს შორის კერძო ხასიათის ქონებრივ დავას განიხილავდა არბიტრაჟი? (N=51)




2020 წლის კვლევასთან შედარებისას, 2021 წელს არსებითად განსხვავებული შედეგები არ გამოვლინდა. 2020 წელს არბიტრაჟის გზით ქონებრივი ხასიათის დავის მოგვარება ხელშეკრულებით წინასწარ იყო განსაზღვრული 94.2%-ის, ხოლო 2021 წელს 94.1%-ის შემთხვევაში. რაც შეეხება კონტრაქტის გაფორმების დროს ინფორმაციის ფლობას, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 89.8%-იყო, ხოლო 2021 წელს 94.1%-ია.

არბიტრაჟის პროცესის შეფასება

არბიტრაჟის დავის ბოლო გამოცდილების მიხედვით, რესპონდენტების 88.7% დავის დროს საარბიტრაჟო მოსარჩელის ადვოკატი, ხოლო 9.4% - საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენელი/ადვოკატი იყო (იხილეთ დიაგრამა #11):

დიაგრამა #11




კვლევის ორივე ეტაპის შედეგებისას მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოიკვეთა. თუმცა, 2021 წელს იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც საარბიტრაჟო მოსარჩელის მხარეს წარმომადგენდნენ უფრო მეტია, ვიდრე 2020 წელს. 2020: 75%; 2021: 88.7%.

როგორც კვლევამ აჩვენა, დავის ბოლო გამოცდილების მიხედვით, უშუალოდ პროცესში ძირითადად მოსარჩელის წარმომადგენლები/ადვოკატები (32.7%), მოპასუხის ადვოკატები (27.5%), ან საარბიტრაჟო დავის მოპასუხე მხარეები (19%) იყვნენ ჩართულნი (იხილეთ დიაგრამა #12):

დიაგრამა #12

ვინ მონაწილეობდა საარბიტრაჟო დავის პროცესში?




2020 წლის გამოკითხვის შედეგთან შედარებით, არსებითი განსხვავება არ იკვეთება იმის გარდა, რომ 2020 წელს დავის პროცესში საარბიტრაჟო მოპასუხე უფრო მეტი იყო, ვიდრე საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენელი.

კვლევამ აჩვენა, რომ საარბიტრაჟო დავის განხილვა უმრავლეს შემთხვევაში (60.4%) ბეპირი ფორმით მოხდა, ხოლო შემთხვევათა 34.0%-ში - მხოლოდ საბუთებისა და მტკიცებულებების საფუძველზე (იხილეთ დიაგრამა #13):

დიაგრამა #13

რა ფორმით მოხდა საარბიტრაჟო დავის განხილვა? (N=53)




კვლევის ორივე ეტაპის შედეგებისას მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოიკვეთა. 2020 წელს საარბიტრაჟო დავის განხილვა ბეპირი ფორმით 57.7%-ის შემთხვევაში, მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე - 40.4%-ის შემთხვევაში მოხდა.

საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების ადგილი გამოკითხულთა თითქმის ნახევრის შეფასებით (45.3%) საარბიტრაჟო ცენტრმა შესთავაზა მხარეებს; შემთხვევათა 1/3-ში (32.1%) საარბიტრაჟო სხდომის ადგილი არბიტრმა შესთავაზა მხარეებს (იხილეთ დიაგრამა #14):

დიაგრამა #14


ვის მიერ იქნა შეთავაზებული საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების ადგილი?



2020 წელს საქართველოში COVID-19-ის ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, კვლევითის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა ფორმით ჩატარდა საარბიტრაჟო სხდომები 2020 წელს. როგორც კვლევის შედეგების მიხედვით იკვეთება, საარბიტრაჟო სხდომების 66% პირისპირ ფორმატში, ხოლო 28.3%-ის შემთხვევაში დისტანციურად ჩატარდა. იმ რესპონდენტებმა, რომელთა საქმეების განხილვა დისტანციურად მოხდა, 44.4%-ის შემთხვევაში დადებითად, ხოლო 22.2%-ის უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად შეაფასეს დისტანციურად ჩატარებული სხდომები. დაახლოებით 1/5 - ია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც უარყოფითად, ან უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად აფასებენ დისტანციურად ჩატარებულ სხდომებს (იხილეთ დიაგრამები #15 და #16):


დიაგრამა #15

რა ფორმით ჩატარდა საარბიტრაჟო სხდომა? (N=53)



დიაგრამა #16


მთლიანობაში როგორ შეაფასებდით თქვენს გამოცდილებას დისტანციურ სხდომებთან დაკავშირებით? (N=18)



რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (84.9%) დადებითად, ან უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს იმ გარემოს, სადაც საარბიტრაჟო განხილვები ჩატარდა (იხილეთ დიაგრამა #17):

დიაგრამა #17

მთლიანობაში, როგორ შეაფასებდით იმ გარემოს, სადაც საარბიტრაჟო განხილვა/ები ჩატარდა? (N=53)




კვლევის ორივე ეტაპის შედეგების შედარებისას, მცირე განსხვავება იკვეთება: 2020 წელს – 88.5%-მა, ხოლო 2021 წელს 84.9%-მა შეაფასა დადებითად, ან უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად ის გარემო, სადაც საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდა.

არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმის შეფასება

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში (86.8%) ერთმა არბიტრმა განიხილა დავა. რაც შეეხება არბიტრის დანიშვნას, უმრავლეს შემთხვევაში (89.6%) მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრზე და საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა/არბიტრაჟმა დანიშნა არბიტრი, საქმეების 8.3%-ის შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ არბიტრზე (იხ. დიაგრამები #18 და #19):


დიაგრამა #18

რამდენმა არბიტრმა განიხილა თქვენი დავა? (N=53)



დიაგრამა #19

როგორ მოხდა არბიტრის დანიშვნა?




კვლევის ორივე ეტაპზე აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში ერთმა არბიტრმა განიხილა საქმე. რაც შეეხება არბიტრების დანიშვნას, საგულისხმოა, რომ 2021 წელს გაცილებით მეტია შემთხვევა, როდესაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრზე და საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა/არბიტრაჟმა დანიშნა არბიტრი (2020წ. – 61.5%; 2021 – 89.6%).

კვლევაში მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთა საქმეებიც საარბიტრაჟო კოლეგიამ განიხილა. ასეთი სულ 5 რესპონდენტი. სწორედ ამიტომ, იმის გაანალიზება, თუ რომელი მხარის მიერ მოხდა არბიტრების შერჩევა, მართებული არ არის.


კვლევის ფარგლებში შეფასდა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეირჩა არბიტრი/არბიტრები. მხარეთა მიერ არბიტრის/არბიტრების ერთობლივად არჩევის დროს თანაბრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კარგი რეპუტაცია (21.7%), იურიდიული განათლების ქონა (21.7%) და არბიტრის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (21.7%). საარბიტრაჟო ინსტიტუტმა/ცენტრმა შერჩევისას იხელმძღვანელა არბიტრის იურიდიული განათლებით (30.9%) და არბიტრის რეპუტაციით 20.6%. აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო ცენტრის/ინსტიტუტის შერჩევის კრიტერიუმების შეფასებისას პასუხის გაცემა გაუჭირდა რესპონდენტების 20.6%-ს (იხილეთ დიაგრამები #20 და #21):

დიაგრამა #20

რა კრიტერიუმების მიხედვით მოხდა არბიტრის/არბიტრების შერჩევა მხარეების მიერ ერთობლივად



რა კრიტერიუმების მიხედვით მოხდა არბიტრის/არბიტრების შერჩევა საარბიტრაჟო ცენტრის მიერ




კვლევის ორივე ეტაპის შედეგების შედარებისას გამოიკვეთა, რომ ორივე მხარის მიერ შეთანხმებით არბიტრის/არბიტრების შერჩევისას, 2020 წელს მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არბიტრის კარგი რეპუტაცია (38.2%), ხოლო 2021 წელს კარგი რეპუტაციის გარდა (21.7%) აგრეთვე დასახელდა იურიდიული გამოცდილება (21.7%) და არბიტრების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (21.7%).

არბიტრების პროფესიონალიზმი 11 პარამეტრის (კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, ნეიტრალურობის, სამართლიანობის, ნდობის მოპოვების უნარის, სფეროს ცოდნის, კვალიფიციურობის, მხარეების ინფორმირების, მორიგებაზე/შეთანხმებაზე ორიენტირებულობის, კონფიდენციალობის დაცვის, მოქნილობის, გადანაცვტილების დროულად მიღების და პროცესის მართვის უნარების) მიხედვით შეფასდა. შეფასებისთვის გამოყენებული იქნა 5 ქულიანი სკალა, სადაც ქულა 5 ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასების აღმნიშვნელია, ხოლო ქულა 1 - ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასების.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა არბიტრის პროფესიონალიზმის ყველა პარამეტრს ძალზე დადებითად და უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს (ქულა 5). უარყოფითად შემფასებელთა წილი მცირეა (იხილეთ დიაგრამა #22):


არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმი შეფასეთ ქვემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით (2021 წ. N=53)



- არც დადებითად და არც უარყოფითად
- უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად
- ძალზე დადებითად
- არ ვიცი/მიჭირს პასუხი

#23-ე დიაგრამაში მოცემულია 2020 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმის შეფასების შესახებ.

არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმი შეფასეთ ქვემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით (2020წ. N=53)




- ⊖ ძალზე უარყოფითად
- + არც დადებითად და არც უარყოფითად
- ⊖ უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად
- ⊗ უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად
- + ძალზე დადებითად
- ⊗ არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

2020 წელს ჩატარებული კვლევის მსგავსად, 2021 წელსაც მომხმარებლები არბიტრებს სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, დადებითად აფასებენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის შედეგებში ძალზე დადებითი შეფასება 50%-ის ფარგლებშია, მაშინ, როცა 2020 წელს ძალზე დადებითად რესპონდენტების 2/3 აფასებს.

არბიტრის პროფესიონალიზმის სხვადასხვა პარამეტრის შეფასების სტატისტიკურმა ანალიზმა ცენტრალური ტენდენციების მიხედვით აჩვენა, რომ თითოეული პარამეტრის შემთხვევაში შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) მერყეობს 4.35-დან 4.57-მდე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტთა შეფასებები თითოეული პარამეტრის შემთხვევაში ცალსახად დადებით ველში ექცევა (იხილეთ დიაგრამა #24):

არბიტრის/არბიტრების პროფესიონალიზმი შეფასეთ ქვემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით



2021 წელს, 2020 წელს ჩატარებული კვლევის მსგავსად, თითოეული პარამეტრის შეფასების საშუალო მაჩვენებელი დადებით ველში ექცევა, თუმცა, 2021 წელს ნაკლებია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ძალზე დადებითად აფასებენ სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით არბიტრების პროფესიონალიზმს. 2020 წელს, შეფასების საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა - 4.5-დან 4.8-მდე, 2021 წელს 4.35-დან - 4.57-მდე მერყეობს.

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო შეფასებულიყო საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობა სხვადასხვა (სულ 8) პარამეტრის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც შეფასებისთვის გამოყენებული იქნა შეფასების 5 ქულიანი სკალა, სადაც 5 ქულა ძალზე დადებითი, ხოლო 1 ქულა - ძალზე უარყოფითი შეფასების აღმნიშვნელია. შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები რვავე პარამეტრს დადებითად აფასებენ. იხილეთ ცხრილი #1, სადაც ორივე ეტაპის შედეგებია ერთმანეთთან შედარებული:


2020 წ. N=52 2021 წ. N=53	ძალზე უარყოფითად		უარყოფითად		უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად		არც დადებითად და არც უარყოფითად		უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად		ძალზე დადებითად		არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა	
	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.
მხარის ინფორმირება არბიტრაჟის პროცედურების შესახებ	1.9			1.9	3.8	3.8	15.1	17.3	79.2	71.2				5.8
ცენტრის წარმომადგენელთა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	1.9				1.9	3.8	17	13.5	79.2	75.0	1.9	5.8		
არბიტრის/არბიტრების არჩევანის მრავალფეროვნება	2.0			1.9	1.9	7.8	15.1	19.6	71.7	60.8	9.4	9.8		
ხელმისაწვდომი ინფორმაცია არბიტრების კვალიფიკაციის შესახებ	1.9			1.9	3.8	7.7	17	13.5	73.6	69.2	3.8	7.7		
მოქნილობა და ოპერატიულობა	1.9	1.9			5.7	1.9	9.4	15.4	83	75.0				5.8
ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია	5.8	1.9			5.7	3.8	9.4	15.4	73.6	67.3	9.4	7.7		
ელექტრონული კომუნიკაცია	1.9	1.9		1.9	3.8	3.8	9.4	15.4	83	71.2	1.9	5.8		
ცენტრის თანამშრომლების კომპეტენტურობა	1.9				3.8	5.8	13.2	23.1	79.2	63.5	3.8	5.8		
ონლაინ პლატფორმების გამოყენება და მონაწილეების შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა					7.5		7.5		67.9		15.1			

აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის მოხმარებლები, საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობას უფრო დადებითად 2021 წელს აფასებენ, ვიდრე 2020-ში. 2021 წელს ყველაზე დადებითად შეფასდა შემდეგი პარამეტრები: მოქნილობა 83% და ელექტრონული კომუნიკაცია 83%. 2020 წელს ყველაზე დადებითი შეფასება მოიპოვა - ცენტრის წარმომადგენელთა კომუნიკაციის უნარ-ჩვევებმა - 75% და მოქნილობა და ოპერატიულობამ - 75%.

საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობის შეფასების სტატისტიკურმა ანალიზმა ცენტრალური ტენდენციების მიხედვით აჩვენა, რომ თითოეული ინდიკატორის შემთხვევაში შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) მერყეობს 4.64-დან 4.79-მდე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტების შეფასებები თითოეული პარამეტრის შემთხვევაში ცალსახად დადებით ველში ექცევა (იხილეთ დიაგრამა #25):

დიაგრამა #25

შეფასეთ საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობა ქვემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით




ორივე ეტაპის შედეგების მიხედვით, თითოეული პარამეტრის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (Mean) დადებით ველში ექცევა, თუმცა, 2021 წელს მეტია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, ძალზე დადებითად აფასებენ საარბიტრაჟო ინსტიტუტის/ცენტრის საქმიანობას. 2020 წელს, შეფასების საშუალო მაჩვენებელი მერყეობდა 4.50-დან 4.71-მდე. 2021 წელს 4.64-დან 4.79-მდე მერყეობს.

არბიტრაჟის ზოგადი შეფასება

საარბიტრაჟო დავის ბოლო გამოცდილების მიხედვით, რესპონდენტებმა გაამჟღავნეს დავის შედეგები: დავა უმრავლეს შემთხვევაში რესპონდენტების სასარგებლოდ გადაწყდა (60.4%), ხოლო 22.6%-ის შემთხვევაში მათი მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. რესპონდენტების შეფასებით, არბიტრის/არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემთხვევათა 90.6%-ში დასაბუთებული იყო (იხილეთ დიაგრამები #26 და #27):


დიაგრამა #26

რა შედეგით დასრულდა არბიტრაჟში საქმის განხილვა?



დიაგრამა #27


არბიტრის/არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო თუ არა დასაბუთებული?



ორივე ეტაპის კვლევის შედეგებისას, დავის შედეგების თვალსაზრისით განსხვავება არ გამოიკვეთა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა - 90.6% მიიჩნევს, რომ არბიტრის/არბიტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო, მაშინ, როცა 2020 წლის კვლევაში იგივეს უფრო ნაკლები - 78.8% ამბობს.

რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ (81.1%) მოითხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება; მცირე ნაწილი (13.2%) აღნიშნავს რომ, მხარეებმა ნებაყოფლობით აღასრულეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება (იხილეთ დიაგრამა #28):

დიაგრამა #28




კვლევის ორივე ეტაპის შედეგებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ რესპონდენტების პასუხებში არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა. 2020 წელს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება მოითხოვა 82.7%-მა, ხოლო, 2021 წელს 81.1%-მა.

კვლევისათვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ რა წარმოადგენს არბიტრაჟის როგორც უპირატესობას, ისე მის ნაკლოვანებას სასამართლოსთან შედარებით. როგორც შედეგები აჩვენებს, არბიტრაჟის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ განხილვა მცირე პერიოდში ხერხდება (36.8%), აგრეთვე, პასუხებს შორის აღსანიშნავია - პროცესის მიმდინარეობა მშვიდ ატმოსფეროში (24.1%) და პროცესი წარმოებს მოდავე მხარეების ინტერესების მაქსიმალურად მორგებული წესებით (12.8%).

რაც შეეხება სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟის ნაკლოვანებებს, რესპონდენტების 1/3-ზე მეტის (38.2%) შეფასებით, ბევრი დრო მიაქვს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას. 20.2%-ის აზრით, არბიტრაჟის მომსახურება ძვირია, ხოლო 15.7% ფიქრობს, რომ ზოგიერთი ბანკი/საფინანსო ინსტიტუტი პირდაპირ სთავაზობს მომხმარებელს არბიტრაჟს და არ უტოვებს მას არჩევანს (იხილეთ დიაგრამები #29 და #30):


დიაგრამა #29

თქვენი აზრით, რა წარმოადგენს არბიტრაჟის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით?



■ 2021 წ. (N=53) ■ 2020 წ. (N=52)

თქვენი აზრით, რა არის არბიტრაჟის ნაკლოვანება/ები სასამართლოსთან შედარებით?




2020 წლის კვლევის შედეგების მსგავსად, 2021 წელსაც სასამართლოსთან შედარებით არბიტრაჟის როგორც უპირატესობის, ისე ნაკლოვანებების პირველი სამეული უცვლელია.

გამოკითხული რესპონდენტების 62.3% არჩევდა არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით; 28.3% უფრო არჩევდა, ვიდრე არა. დაახლოებით იგივე მონაცემებია კითხვაზე - ურჩევდით თუ არა სხვას, რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს არბიტრაჟით? 62.3% ურჩევდა, ხოლო 24.5% სხვას უფრო ურჩევდა, ვიდრე არა, რომ ისარგებლოს არბიტრაჟით. (იხილეთ დიაგრამები #31 და #32):


დიაგრამა #31

მომავალში, არჩევდით თუ არა არბიტრაჟის მექანიზმის გამოყენებას სასამართლოსთან შედარებით? (N=53)



დიაგრამა #32

ურჩევდით თუ არა სხვას რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს არბიტრაჟით? (N=53)




ორივე ეტაპის შედეგების შედარებისას არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა. 2020 წელს არბიტრაჟს სასამართლოსთან შედარებით 63.5% არჩევდა, ხოლო 2021 წელს - 62.5% არჩევს. არბიტრაჟის მომსახურების მიღების რჩევას 2021 წელს დაახლოებით იგივე რაოდენობის რესპონდენტები იძლევიან (62.3%), რამდენიც 2020 წელს (63.5%).

რესპონდენტები არბიტრაჟის მომსახურებით მთლიანობაში კმაყოფილები არიან - სავსებით კმაყოფილია 35.8%, ხოლო კმაყოფილი - 56.6% (იხილეთ დიაგრამა #33):

დიაგრამა #33

მთლიანობაში რომ შეაფასოთ, რამდენად კმაყოფილი დარჩით არბიტრაჟის მომსახურებით?




წინა ეტაპის კვლევის შედეგთან შედარებით მცირედით შემცირებულია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მთლიანობაში სავსებით კმაყოფილნი არიან არბიტრაჟის მომსახურებით. 2020 წელს 40.4% იყო, ხოლო 2021 წელს 35.8%-ია ასეთი.


კვლევაში მონაწილე მხარის წარმომადგენლების/ადვოკატების ნახევარზე ოდნავ ნაკლები 44.2% ურჩევდა თავის კლიენტს არბიტრაჟით სარგებლობას, ხოლო 30.8% უფრო ურჩევდა, ვიდრე არა. რაც შეეხება საქმეების ტიპს, რესპონდენტების 25.4% თავის კლიენტს ნებისმიერი დავის განხილვას ურჩევდა, რომელიც არბიტრაჟს ექვემდებარება, 21.5% არბიტრაჟით სარგებლობას სახელმწიკრულებო დავების შემთხვევაში ურჩევდა, 14.1% კორპორაციული დავების, ხოლო 11.3% იურიდიულ პირებთან სასესხო დავების შემთხვევაში ურჩევდა არბიტრაჟის გამოყენებას (იხილეთ დიაგრამები #34 და #35):

დიაგრამა #34

თქვენს კლიენტს ურჩევდით თუ არა არბიტრაჟით სარგებლობას?



თქვენს კლიენტს რომელი ტიპის საქმეებზე ურჩევდით არბიტრაჟით სარგებლობას?



კვლევის ორივე ეტაპის შედეგებით იკვეთება, რომ 2021 წელს, წარმომომადგენლის/ადვოკატის ნახევარზე ნაკლები (44.2%) ურჩევდა კლიენტს არბიტრაჟით სარგებლობას, ხოლო 2020 წელს ნახევარზე მეტი (55.8%). 2020 წელს 22%, ხოლო 2021 წელს 30.8%-ია, ვინც უფრო ურჩევდა, ვიდრე არა არბიტრაჟით სარგებლობას. რაც შეეხება საქმეების ტიპს, ამ შემთხვევაშიც პასუხებს შორის იკვეთება განსხვავება. 2021 წელს პირველ ადგილზეა პასუხის ვარიანტი - „ნებისმიერი დავა, რომელიც ექვემდებარება არბიტრაჟით საქმის განხილვას“ (25.4%), ხოლო 2020 წელს - „სახელშეკრულებო დავები“ (27.3%).

მედიაციით სარგებლობის კმაყოფილების კვლევის შედეგები

ძირითადი მიზნები

მედიაციის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის საფუძველზე გამოიკვთა ძირითადი მიზნები ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: მედიაციის შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე და მოლოდინები, მედიაციის პროცესისა და მედიაციის ცენტრის საქმიანობის, აგრეთვე, დაავაში ჩართული მედიატორის პროფესიონალიზმის შეფასება სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით.

რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, გამოკითხულთაგან ყოველი მეორე რესპონდენტი მამრობითი სქესისაა, ხოლო 49.3% მდედრობითი. 46.3% 36-50 წლამდე ასაკის აღმოჩნდა, გამოკითხულთა მესამედის წლოვანება კი 22-35 წლამდე მერყეობს. ამასთან, რესპონდენტთა უმრავლესობა თბილისის მაცხოვრებელია (73.1%), 17.9% კი ქვემო ქართლის. მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და იმერეთის რეგიონიდან ჯამში 9% გამოიკითხა (6 რესპონდენტი). განათლების თვალსაზრისით, 85.1%-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. რაც შეეხება საქმიანობას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი კერძო (ბიზნეს) სექტორშია დასაქმებული. 11.4%-მა აღნიშნა, რომ უმუშევარია.

გამოკითხულთა უმრავლესობა (59.7%) სრულყოფილ ან გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა მედიაციის შესახებ მანამდე, ვიდრე დავა მედიატორს გადაეცემოდა. ყოველ მესამე რესპონდენტს კი საერთოდ არაფერი ჰქონდა გაგებული ამ სერვისზე უშუალოდ დავის დაწყებამდე. 2020 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებთან შედარება ცხადყოფს, რომ იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც დავის მედიატორისთვის გადაცემამდე მედიაციის შესახებ არაფერი სმენოდათ, შედარებით დაბალი იყო (25%). ინფორმაციის მიღების საშუალებებად რესპონდენტთა მიერ მთავარ წყაროდ, ორივე კვლევის/ტალღის შემთხვევაში, საკუთარი პროფესიული ინტერესები სახელდება. გამოკითხულთა მცირე ნაწილი ასახელებს ტელევიზიას, სოციალურ მედიას და ა.შ.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას, ორივე ტალღაში, დადებითი მოლოდინები ჰქონდა მედიაციასთან დაკავშირებით - ეს ასეა როგორც 2020 წელს ჩატარებული კვლევის, ასევე 2021 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით. ბოლო ტალღაში დადებითი მოლოდინების მქონე გამოკითხულთა რაოდენობა იმატებს (60.9%), 2020 წელთან შედარებით (56.2%). კვლევის თანახმად, მედიაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დავის ორივე ან რომელიმე ერთი მხარე, ასევე მხარეების წარმომადგენლები/ადვოკატები.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მეორე ეტაპზე გამოკითხულთა 58.2%-ის შემთხვევაში, მედიაციისთვის მიმართვა იყო მოსამართლის ინიციატივა, ხოლო მედიატორის შერჩევის პროცესში გადანყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო კვლევაში მონაწილე პირთა მხოლოდ 7.5%-მა. ამასთან, ყოველი მეორე რესპონდენტი ამბობს, რომ სესიების ჩატარების ადგილი თავად მედიატორმა შესთავაზა მათ. რაც შეეხება მედიატორს, ეს უკანასკნელი რესპონდენტების 56.7%-ს თავად მედიაციის ცენტრმა შესთავაზა. იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (62.5%), რომელთაც დამოუკიდებლად შეარჩიეს მედიატორი, ამბობს, რომ მათ ყოველგვარი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე მიიღეს გადანყვეტილება, მაშინ როდესაც პირველ ტალღაში მედიატორის დამოუკიდებლად შემრჩევთა უმრავლესობა მთავარ კრიტერიუმად მედიატორის რეპუტაციას და მის გამოცდილებას ასახელებდა. კვლევის ორივე ეტაპზე იმ რესპონდენტების მიერ დასახელებული მედიატორის შერჩევის კრიტერიუმების შედარება, რომელთაც თავად არ შეურჩევიათ მედიატორი, ცხადყოფს, რომ 2020 წელს გამოკითხულთა შორის 44.7%-თვის უცნობი იყო შერჩევის კრიტერიუმები, მაშინ როცა ასეთთა წილი 2021 წელს 25%-მდე შემცირდა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ კვლევის მეორე ეტაპზე საგრძნობლად გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც დადებითად აფასებენ მათ დავაზე მომუშავე მედიატორის პროფესიონალიზმს, მისი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების, ნეიტრალურობის, მოსმენისა და მორიგებაზე/შეთანხმებაზე ორიენტირებულობის უნარისა და სხვა პარამეტრების გათ-

ვალისწინებით. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წინა ეტაპისგან განსხვავებით, მეორე კვლევაში, მედიკატორის პროფესიონალიზმს ნეგატიურად ან ნეიტრალურად არც ერთი რესპონდენტი არ აფასებს (ამ შემთხვევაშიც გამოიყენებოდა შეფასების 5 ქულიანი სკალა).

ჩატარებული ორი კვლევის მონაცემების შედარებით ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წელს წარმოებულ დავებს შორის ყველაზე ხშირი იყო სახელშეკრულებო (25%) დავა, 2021 წელს კი, სასესხო - 25.4%. (2020 წ. სასესხო დავა - 4.2%). 2021 წელს გამოკითხულ იმ პირთა 77.8%, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ შემთხვევაში მედიაციის სესიები დისტანციურად მიმდინარეობდა, ასეთ პრაქტიკას შეფასების დადებით ველში აქცევს.

2021 წლის კვლევის რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (88.1%) თვლის, რომ მათ შემთხვევაში ჩატარებული სესიების რაოდენობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა დავის შესაფერისი განხილვისთვის. მედიაციის მეშვეობით დავის მოგვარების თვალსაზრისით, კვლევის მეორე ეტაპზე (2021 წელი) 2-ჯერ მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ მორიგებას მიაღწიეს. ასევე, ისეთი დავების მქონე რესპონდენტების წილი, რომლებზეც მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს 2020 წლის კვლევაში 3-ჯერ მაღალია. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მედიაციის შედეგად მიღწეული შედეგების ნებაყოფლობითი შესრულების ფაქტზე მიუთითებენ 2,5-ჯერ მაღალია 2020 წლის მაჩვენებელზე. რაც შეეხება მედიაციის ცენტრის საქმიანობის შეფასებას, სტატისტიკურმა

ანალიზმა აჩვენა, რომ 2021 წელს გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა დადებით შეფასებებს გამოთქვამს, კერძოდ, იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც საკუთარი შეფასებისთვის სკალის უკიდურესად დადებით მაჩვენებელს იყენებს (ქულა 5) 74.6%-91%-ს შორის მერყეობს.


მედიაციის ზოგადი შეფასებისას, 2021 წელს გამოკითხულთა თითქმის ნახევარი აღნიშნავს, რომ ამ პროცესში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, მაშინ როდესაც ამავე აზრს 2020 წელს გამოკითხულთა 66.7% აფიქსირებდა. სასამართლოსთან შედარებით მედიაციის უპირატესობებზე საუბრისას კვლევის ორივე ეტაპზე გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილია დროის დაზოგვა დაასახელა (2020წ. - 20.1%; 2021წ. - 23.2%). რაც შეეხება ნაკლოვანებებს, კვლევის ორივე ეტაპზე ყურადღება მახვილდება ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა მედიაციის შემდგომ მორიგების პირობების შესრულების აუცილებლობის გაუთვალისწინებლობა რომელიმე მხარის მიერ და მედიაციის პროცესით სასურველი შედეგის ვერმიღწევის შემთხვევაში, დავის კვლავ სასამართლოსთვის გადაცემა.

საბოლოო ჯამში, მედიაციის პროცესით კმაყოფილების შეფასების თვალსაზრისით, 2021 წელს რამდენადმე უფრო მაღალი იყო იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სავსებით კმაყოფილები იყვნენ მათთვის განუული მომსახურებით, ვიდრე 2020 წელს (2020წ. - 16.7%; 2021წ. - 49.3%). უკმაყოფილო რესპონდენტების წილი ორივე შემთხვევაში დაბალია

რესპონდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში მონაწილე პირთა რაოდენობა თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული. კერძოდ, 50.7% მდედრობითი სქესისაა, ხოლო 49.3% მამრობითის (იხ. დიაგრამა #36).


დიაგრამა #36



2020 წლის კვლევაში გამოკითხულთა შორის მამრობითი სქესის (52.1%) რესპონდენტების რაოდენობა აჭარბებდა მდედრობითი სქესის (47.9%) რესპონდენტებს. 2021 წელს კი მათი რაოდენობა თითქმის თანაბარია.

გამოკითხულთა ასაკი მერყეობს 22-დან 75 წლამდე. კერძოდ, ყოველი მესამე რესპონდენტი 39 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში თავსდება. 29.9%-ის ასაკი კი 40-49 წლამდე ვარირებს. რაც შეეხება უფროსი ასაკის რესპონდენტებს მათი წილი კვლევაში მონაწილე პირთა თითქმის მეხუთედს უტოლდება. (იხ. დიაგრამა #37)


დიაგრამა #37



2020 წელს გამოკითხულთა შორის ყველაზე მცირე ასაკის რესპონდენტი იყო 26 წლის, ხოლო 2021 წელს 22 წლის. ასევე, კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტი რესპონდენტი დაფიქსირდა 26-39 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში (43.8%). ამასთან, 2021 წელს კვლევაში მონაწილე პირთა დიდი ნაწილის ასაკიც 22-39 წლამდე ვარირებს.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რესპონდენტთა პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირია: გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა თბილისის მაცხოვრებელია (73.1%), 17.9% ქვემო ქართლის, 6% (4 რესპონდენტი) კი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ცხოვრობს. გამოკითხულთაგან 2 რესპონდენტი იმერეთისა და გურიის მაცხოვრებელია (იხ. დიაგრამა #38).


დიაგრამა #38



აღსანიშნავია, რომ მაშინ როდესაც 2020 წელს კვლევაში მონაწილე პირთა საცხოვრებელი ადგილი ნაწილობრივად მხოლოდ თბილისსა (97.9%) და ქუთაისში (2.1%), 2021 წელს რესპონდენტების რეგიონული განაწილება გაფართოვდა და მოიცვა ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, გურია და თბილისი.

მიღებული განათლების დონის მიხედვით, რესპონდენტთა კლასიფიკაცია შემდეგნაირია: გამოკითხულთა 85.1%-ს აქვს უმაღლესი განათლება (ინსტიტუტი, უნივერსიტეტი) მიღებული. 10.4%-ს უტოლდება (7 რესპონდენტი) იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც მხოლოდ სრული საშუალო განათლება აქვთ მიღებული (იხ. დიაგრამა #39).


დიაგრამა #39



მიღებული განათლების მიხედვით, პირველ ეტაპზე გამოკითხულთა 91,7% იყო უმაღლესი განათლების მქონე, მეორე ეტაპზე კი ასეთთა წილი 85.1%-ს შეადგენს. სრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტთა წილი 2021 წელს გამოკითხულთა შორის მეტია, ვიდრე წინა ეტაპზე. გარდა ამისა, პირველ ეტაპზე კვლევაში მონაწილე პირთა 6.3%-ს მიღებულ განათლებად განსაზღვრული ჰქონდა მაძიებელი/ასპირანტურა/სამეცნიერო ხარისხი.

ამჟამინდელი საქმიანობის სფეროების მიხედვით რესპონდენტების ნახევარზე მეტი კერძო (ბიზნეს) სექტორშია დასაქმებული, 14.3% კი სახელმწიფო სექტორში. გამოკითხულთაგან 11.4%-მა აღნიშნა, რომ უმუშევარია. გამოკითხულთაგან ნაწილი არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული პირი, პენსიონერი და თვითდასაქმებულის იყო. ასეთთა წილი არ აღემატება 10%-ს (იხ. დიაგრამა #40).

დიაგრამა #40




დასაქმების თვალსაზრისით, კვლევის ორივე ეტაპზე გამოკითხულ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი კერძო (ბიზნეს) სექტორში არიან დასაქმებულები (2020წ. – 77,6%; 2021წ. - 58.6%). სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა, თვითდასაქმებულთა, უმუშევართა წილი შედარებით მაღალია 2021 წელს გამოკითხულ პირთა შორის.

ინფორმირებულობა და მოლოდინები

მედიაციით სარგებლობის კმაყოფილების კვლევის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, რესპონდენტებმა მედიაციის შესახებ ინფორმირებულობისა და მოლოდინების თაობაზე უპასუხეს კითხვებს. გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტი (59.7%) აღნიშნავს, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას მედიაციის შესახებ მანამ, ვიდრე დავა მედიატორს გადაეცემოდა. თუმცა, ასეთთა შორის მხოლოდ 38.8% აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც სრულყოფილი ინფორმაციის ფლობაზე მიუთითეს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მესამედს (34.3%) დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ შესაძლებლობაზე საერთოდ არაფერი ჰქონდა გაგებული უშუალოდ დავის დაწყებამდე. (იხ. დიაგრამა #41)


დიაგრამა #41



2021 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების წინა ტალღის (2020 წ.) სტატისტიკასთან შედარება ცხადყოფს, რომ იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც დავის მედიატორისთვის გადაცემამდე მედიაციის შესახებ არაფერი სმენოდათ, შედარებით მაღალია მეორე ტალღის ფარგლებში გამოკითხულთა შორის. კერძოდ, 2020 წლის გამოკითხვაში ასეთთა რაოდენობა იყო 25%, ხოლო 2021 წელს 34.3%. ამასთან, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული გზის თაობაზე თავიდანვე სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდათ (2020 წ. - 62.5%; 2021 წ. - 38.8%).

კვლევაში მონაწილე პირებმა, რომლებსაც გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია მედიაციის შესახებ უშუალოდ მედიაციის ცენტრთან კომუნიკაციამდე, ისაუბრეს ინფორმაციის მოპოვების გზებზე. რესპონდენტების უმრავლესობისთვის (57.1%) დომინანტი წყარო საკუთარი პროფესია აღმოჩნდა, მას მოსდევს მოსამართლის რეკომენდაცია (10.2%). რესპონდენტების მცირე ნაწილი ასახელებს ისეთ წყაროებს, როგორებიცაა ტელევიზია, სოციალური მედია, ნაცნობები, საკუთარი ადვოკატი, მოსამართლე და ა.შ. (იხ. დიაგრამა #42).

საიდან გაიგეთ მედიაციის შესახებ?




ჩატარებული ორი ტალღის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო, როგორც 2020, ასევე, 2021 წელს გამოკითხული პირებისთვის იყო საკუთრივ მათი პროფესია. კერძოდ, 2020 წელს რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ (83.8%) აღნიშნა, რომ ისინი პროფესიით იურისტები არიან და, შესაბამისად, თავად ფლობდნენ ინფორმაციას მედიაციის შესახებ, ხოლო 2021 წელს იგივე პასუხი გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა დააფიქსირა. ორივე ტალღის შემთხვევაში რესპონდენტთა მცირე ნაწილი ასახელებს ისეთ წყაროებს, როგორებიცაა ტელევიზია, ნაცნობები, სოციალური მედია და ა.შ.

რესპონდენტებმა შეაფასეს თუ რა წინარე მოლოდინები ჰქონდათ მედიაციასთან მიმართებით მანამ, ვიდრე მათი დავა გადაეცემოდა მედიაციის ინსტიტუტს. შეფასება განხორციელდა 5 ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 5 გამოხატავს მაქსიმალურად დადებით შეფასებას, ხოლო ქულა 1 - მაქსიმალურად უარყოფითს (ამ სკალაზე ქულა 3 შეესაბამება ნეიტრალურ შეფასებას). მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა 56.5% საკუთარ პოზიციას შეფასების დადებით ველში ათავსებს. ამათგან 26.1%-ია ისეთი, რომლებიც შეფასების მაქსიმალურად დადებით ქულას (5) იყენებენ საკუთარი წინასწარი განწყობების აღსანიშნავად. რესპონდენტთა თითქმის მესამედი (30.4%) ნეიტრალურ შეფასებას (ქულა 3) იყენებს საკუთარი მოლოდინების გამოსახატად (იხ. დიაგრამა #43).

დიაგრამა #43

როგორი მოლოდინები გქონდათ მედიაციასთან დაკავშირებით დავის მედიაციისთვის გადაცემამდე?




დავის მედიაციისთვის გადაცემამდე რესპონდენტების წინასწარი განწყობების შეფასებამ გამოავლინა, რომ მათი წილი, რომელთაც ამ იურიდიული სერვისის მიმართ დადებითი მოლოდინები გააჩნდათ ორივე ტალღის შემთხვევაში გამოკითხულთა ნახევარზე მეტია (2020 წ. - 64.6%; 2021 წ. - 56.5%). ამასთან, ორივე ტალღის შემთხვევაში თითქმის თანაბარია ნეიტრალური და უარყოფითი განწყობების მქონე პირთა რაოდენობა.

მედიაციის პროცესისა და მედიატორის პროფესიონალიზმის შეფასება


მედიაციით კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც უშუალოდ დავის მხარემ, ისე მხარის წარმომადგენელმა/ადვოკატმა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რესპონდენტებს შორის 59.7% იყო უშუალოდ მხარე, ხოლო 40.3% მხარის ადვოკატი (იხ. დიაგრამა #44).

დიაგრამა #44



როგორც კვლევამ ცხადყო, ყოველი მეორე რესპონდენტის (50.7%) შემთხვევაში მედიაციის პროცესში მონაწილეობდა ორივე მხარე და ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი. გამოკითხულთა მეოთხედს აჭარბებს მათი წილი, რომელთაც აღნიშნეს, რომ მედიაციით დავის გადაწყვეტის პროცესში მხოლოდ ერთი მხარე და მეორე მხარის ადვოკატი ხვდებოდნენ ერთმანეთს. კვლევაში მონაწილე პირთა მეხუთედზე ნაკლებია (17.9%) მათი წილი, რომლებმაც დააფიქსირეს, რომ პროცესში ორივე მხარე მონაწილეობდა ადვოკატების გარეშე. (იხ. დიაგრამა #45)


დიაგრამა #45



აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გამოკითხულ პირთა შემთხვევაში, მედიაციის პროცესში მონაწილე სუბიექტთა შორის, ადვოკატების წილი აჭარბებდა თავად მხარეთა წილს, მაშინ როცა 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, თავად მხარეთა მონაწილეობის მაჩვენებელი გაიზარდა, ხოლო პროცესში ჩართულ ადვოკატთა წილი შემცირდა. ამასთან, პროცესში მონაწილე პირთა გადანაწილების მიხედვით, წინა ტალღის შემთხვევაში, გამოკითხულთა 70.8%-მა აღნიშნა, რომ მონაწილე პირთა შორის ორივე მხარე (მოსარჩელე-მოპასუხე) და ერთ-ერთი მხარის ადვოკატი/წარმომადგენელი იყო, მაშინ როდესაც ასეთთა წილი 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით 50.7%-ს არ აღემატება. კვლევის ორივე ეტაპზე თითქმის თანაბარია ისეთ პირთა რაოდენობა, რომელთაც მიუთითეს, რომ მედიაციაში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა მხარემ და მეორე მხარის წარმომადგენელმა მიიღო.

გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ნახევარზე მეტმა (58.2%) აღნიშნა, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზის - მედიაციის - გამოყენება მოსამართლის ინიციატივა იყო. მათი წილი, რომლებიც ინიციატორებად სხვა პირებს/მხარეებს ასახელებენ მნიშვნელოვნად დაბალია. კერძოდ, მხოლოდ 10.4% აღნიშნავს, რომ ეს მათი ადვოკატის ინიციატივა იყო, 9%-ის შემთხვევაში კი ეს მეორე მხარის სურვილი აღმოჩნდა. 7.5%-ს არ აღემატება მათი რაოდენობა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ ინიციატივის ავტორი თავად იყვნენ (იხ. დიაგრამა #46).

დიაგრამა #46




2020 წელს გამოკითხულთა 68.8%-ის თანახმად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის - მედიაციის გამოყენების ინიციატორი მოსამართლე იყო. 2021 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, მათი წილი, რომლებიც ინიციატორად მოსამართლეს ასახელებენ რამდენადმე შემცირდა (58.2%), თუმცა გაიზარდა ისეთთა რაოდენობა, რომლებმაც ამ გადაწყვეტილების მიმღებად ადვოკატი (I ტალღა - 6,3%; II ტალღა - 10.4%) დაასახელეს.

გამოკითხულთა 50.7%-ის შემთხვევაში სესიები მიმდინარეობდა მედიატორის მიერ შეთავაზებულ ლოკაციაზე. რესპონდენტთა მეხუთედზე მეტმა კი აღნიშნა, რომ სესიების ჩატარების ადგილი მათ თავად მედიაციის ცენტრ-მა შესთავაზა. ამასთან, კვლევამ ცხადყო, რომ 17.9%-ს არ აღემატება მათი წილი, რომელთა შემთხვევაშიც პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვების გათვალისწინებით სესიები ჩატარდა ონლაინ (იხ. დიაგრამა #47).

დიაგრამა #47


ვის მიერ იქნა შეთავაზებული სესიების ჩატარების ადგილი? N=67



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ რესპონდენტების 56.7%-ის შემთხვევაში მედიატორი თავად მედიაციის ცენტრმა შესთავაზა მხარეებს. 17.9% აღნიშნავს, რომ თავად შევარჩიეს, ხოლო მათი წილი, რომლებსაც მეორე მხარემ შესთავაზა მედიატორი 13.4%-ია (იხ. დიაგრამა #48).

დიაგრამა #48


ვის მიერ მოხდა მედიატორის შერჩევა:



კვლევის ორი ეტაპის მონაცემების შედარებით, მედიატორის შერჩევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სხვაობა არ ვლინდება იმ რესპონდენტების რაოდენობებს შორის, რომელთაც აღნიშნეს, რომ მედიატორი მედიაციის ცენტრმა შესთავაზა ან თავად შეარჩიეს. თუმცა, განსხვავებულია მათი წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მედიატორი წარმომადგენელმა/ადვოკატმა (2020წ. – 12.5%; 2021წ. – 6%) ან მეორე მხარემ (2020წ. – 2.1%; 2021წ. – 13.4%) შესთავაზა.

კვლევაში მონაწილე იმ პირთა შორის, რომლებმაც დამოუკიდებლად შეარჩიეს მედიატორი (ასეთია მხოლოდ 16 რესპონდენტი), უმრავლესობამ (10 რესპონდენტი - 62.5%) გადაწყვეტილება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე მიიღო. იმ რესპონდენტების წილი, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მედიატორის კარგი რეპუტაცია ან მისი გამოცდილება/სპეციალიზაცია თანაბარია (თითოეულ შემთხვევაში ორი რესპონდენტი) (იხ. დიაგრამა #49).

დიაგრამა #49




იმ რესპონდენტებს შორის, რომელთაც როგორც კვლევის პირველ, ასევე, მეორე ეტაპზე აღნიშნეს, რომ დამოუკიდებლად შეარჩიეს მედიატორი, ცალსახად შესამჩნევია განსხვავება შერჩევის პროცესში გათვალისწინებული კრიტერიუმების თვალსაზრისით. კერძოდ, მაშინ როდესაც, 2020 წლის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტებმა მხოლოდ შეფასების ორ პარამეტრზე გააკეთეს აქცენტი (მედიატორის კარგი რეპუტაცია - 40% და მედიატორის გამოცდილება/სპეციალიზაცია - 60%), მეორე ეტაპზე გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამბობს, რომ მათ ყოველგვარი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება (62.5%). რაც შეეხება მათ წილს, რომლებმაც კვლევის მეორე ტალღაში, მედიატორის სპეციალიზაციასა და რეპუტაციაზე მიუთითეს, საგრძნობლად ჩამორჩება 2020 წლის მაჩვენებელს.

რესპონდენტებმა, რომელთაც თავად არ შეურჩევიათ მედიატორი, განსაზღვრეს თუ რა კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა მათი დავისთვის მედიატორი. გამოკითხულთაგან 25%-მა აღნიშნა, რომ მედიატორის გამოცდილებას/სპეციალიზაციას მიექცა ყურადღება, ამასთან რესპონდენტთა იგივე რაოდენობა ამბობს, რომ მათთვის უცნობია შერჩევის პროცესში გათვალისწინებული კრიტერიუმები. გამოკითხულთა მესხუთედს მცირედით აღემატება მათი წილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი დავისთვის მედიატორი რიგითობის პრინციპით შეირჩა. აქცენტს მედიატორის კარგ რეპუტაციაზე გამოკითხულთა მხოლოდ 16.2% სვამს. (იხ. დიაგრამა #50)

დიაგრამა #50

თქვენი აზრით, რა კრიტერიუმების მიხედვით შეირჩა მედიატორი



კვლევის ორივე ეტაპზე იმ რესპონდენტების მიერ დასახელებული მედიატორის შერჩევის კრიტერიუმების შედარება, რომელთაც თავად არ შეურჩევიათ მედიატორი, ცხადყოფს, რომ 2021 წელს მეტად იყო გათვალისწინებული მედიატორის რიგითობის პრინციპი (I ეტაპი - 4.3%; II ეტაპი - 23.5%). ამასთან, საგულისხმოა, რომ 2020 წელს გამოკითხულთა შორის 44.7%-სთვის უცნობი იყო შერჩევის კრიტერიუმები, მაშინ როცა ასეთთა წილი 2021 წელს 25%-მდე შემცირდა.


რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს მედიატორის პროფესიონალიზმში ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორებიცაა: კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, ემპათიის უნარი, ოპერატიულობა, ნეიტრალურობა, მოსმენის უნარი, ნდობის მოპოვების უნარი, სფეროს ცოდნა, შეთანხმებაზე ორიენტირებულობა და ა.შ. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტები, ყველა შემთხვევაში, თითოეულ პარამეტრს შეფასების დადებით ველში ათავსებენ (5 ქულიან სკალაზე აფასებს 5 ან 4 ქულით). რესპონდენტები განსაკუთრებით დადებითად გამოარჩევენ ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: კონფიდენციალურობის დაცვა, მორიგებაზე ორიენტირებულობა, მედიატორის მოსმენის უნარი, ნეიტრალურობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები შეფასების უარყოფით ან ნეიტრალურ მაჩვენებლებს არ იყენებენ საკუთარი დამოკიდებულებების გამოსახატავად (იხ. ცხრილი #2).

მედიატორის პროფესიონალიზმი შეფასეთ ქვემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით	სრულიად უარყოფითად		უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად		არც დადებითად და არც უარყოფითად		უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად		ძალზე დადებითად		არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	
	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.
კომუნიკაციის უნარ-ჩვევები			1.9		3.8	3.8	15.1	17.3	79.2	71.2		5.8
ნეიტრალურობა					1.9	3.8	17	13.5	79.2	75.0	1.9	5.8
მოსმენის უნარი			1.9		1.9	7.8	15.1	19.6	71.7	60.8	9.4	9.8
ნდობის მოპოვების უნარი			1.9		3.8	7.7	17	13.5	73.6	69.2	3.8	7.7
ემპათიის უნარი	1.9				5.7	1.9	9.4	15.4	83	75.0		5.8
მოლაპარაკების უნარი	1.9				5.7	3.8	9.4	15.4	73.6	67.3	9.4	7.7
სფეროს ცოდნა	1.9		1.9		3.8	3.8	9.4	15.4	83	71.2	1.9	5.8
მხარეების ინფორმირება					3.8	5.8	13.2	23.1	79.2	63.5	3.8	5.8
მორიგებაზე/შეთანხმებაზე ორიენტირებულობა					7.5		7.5		67.9		15.1	
კონფიდენციალურობის დაცვა მთელი მედიაციის პროცესში												
ოპერატიულობა			2.1		2.1	3.0	10.4	95.5	83.3	1.5	2.1	

გამოკითხულთა მიერ მედიატორის პროფესიონალიზმის შეფასება, ცხრილში ჩამოთვლილი თითოეული პარამეტრის მიხედვით, ცხადყოფს, რომ დადებითად განწყობილი რესპონდენტების წილი კვლევის მეორე ეტაპზე საგრძნობლად გაიზარდა. მაშინ როდესაც 2020 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების თანახმად, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც 5 ქულიან სკალაზე შეფასების უკიდურესად დადებითი ნერტილი გამოიყენეს (თითოეული პარამეტრისთვის) 72,9%-89,6%-ს შორის ვარირებდა, ასეთთა რაოდენობა 2021 წელს 94%-ს აჭარბებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ წინა ეტაპისგან განსხვავებით, ბოლო კვლევაში, მედიატორის პროფესიონალიზმს ნეგატიურად ან ნეიტრალურად არცერთი რესპონდენტი არ აფასებს.

რესპონდენტების გამოცდილებების თანახმად, დავა, რომელიც მათსა და მეორე მხარეს შორის წარმოიშვა და დავის მოგვარების ალტერნატიული მეთოდის, კერძოდ, მედიაციის გამოყენებით გადაწყდა, გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის შემთხვევაში სასესხო (25.4%) და საოჯახო ტიპის (19.4%) იყო. ამასთან, კვლევაში მონაწილე პირთა თანაბარი რაოდენობა საუბრობს ისეთ დავებზე, რომლებიც სახელშეკრულებო, სანივთო ან შრომითი ხასიათის იყო (თითოეულ შემთხვევაში რესპონდენტთა წილი არის 10.4%) (იხ. დიაგრამა #51).

რა ტიპის დავა იყო თქვენსა და მეორე მხარეს შორის?




ჩატარებული ორი კვლევის მონაცემების შედარებითა ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წელს წარმოებულ დავებს შორის ყველაზე ხშირი იყო სახელშეკრულებო (25%) დავა, 2021 წელს კი სასესხო - 25.4% (2020წ. სასესხო დავა - 4.2%). აქვე უნდა ითქვას, რომ სახელშეკრულებო დავების რაოდენობა 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა და არ აღემატება 10.4%-ს. გარდა ამისა, კვლევის წინა ეტაპის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით, საკმაოდ შემცირებულია მემკვიდრეობითი დავების წილიც (2020 წ. - 16.7%; 2021წ. - 9%). ამასთან, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია სანივთო და ვალდებულებითი დავების მაჩვენებელი. სხვა ტიპის დავების წილის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება არ ფიქსირდება.

გამოკითხულთაგან მინიმუმ ყოველი მეორე რესპონდენტის შემთხვევაში მედიაციის სესიები ფორმალურ გარემოში (მაგ. სასამართლოსთან არსებულ მედიაციის ცენტრში) მიმდინარეობდა. 28.4%-მა აღნიშნა, რომ პროცესი დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით წარიმართა. იმ რესპონდენტების წილი, რომლებმაც ისეთი ვარიანტები დაასახელეს, როგორებიცაა არაფორმალური გარემო, სასამართლოში მეგობრული გარემო, დისტანციური/არაფორმალური გარემო და ა.შ. თითოეულ შემთხვევაში არ აღემატება 6%-ს (იხ. დიაგრამა #52).

დიაგრამა #52


როგორ გარემოში მიმდინარეობდა მედიაციის სესიები?



რესპონდენტების იმ ნაწილმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ შემთხვევაში მედიაციის სესიები დისტანციურად მიმდინარეობდა, ამ კუთხით საკუთარი გამოცდილება შეაფასეს 5 ქულიან სკალაზე. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (77.8%) პირად პრაქტიკას შეფასების დადებით ველში აქცევს. ამასთან, შეფასების უკიდურესად დადებით წერტილს (5 ქულა) იყენებს კვლევაში მონაწილე პირთა 63%. დისტანციურ სესიებთან დაკავშირებით საკუთარ გამოცდილებას 11.1% ნეგატიურად აფასებს, თუმცა არც ერთი რესპონდენტი ახასიათებს შეფასების უარყოფითი ველის უკიდურესი წერტილიდან (იხ. დიაგრამა #53).


დიაგრამა #53

მთლიანობაში როგორ შეაფასებდით თქვენს გამოცდილებას დისტანციურ სესიებთან დაკავშირებით? N=27



რესპონდენტების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში პირველი სესია ჩატარდა ყველა ჩართულ მხარესთან ერთად, 17.9% კი აღნიშნავს, რომ პროცესი მხოლოდ მედიატორის მონაწილეობით მიმდინარეობდა (იხ. დიაგრამა #54).


დიაგრამა #54



კვლევის წინა ეტაპთან შედარებით, მეორე ტალღის მონაცემები ცხადყოფს, რომ მედიაციის პირველი სესია ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით 2020 წელს უფრო ნაკლები რესპონდენტის (77%) შემთხვევაში მიმდინარეობდა, ვიდრე 2021-ში (82.1%).

რესპონდენტების 88.1% კმაყოფილებას გამოხატავს ჩატარებული სესიების რაოდენობასთან მიმართებით და ამბობს, რომ მათ შემთხვევაში ზუსტად იმდენი სესია ჩატარდა, რამდენიც საჭირო იყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მხოლოდ 4.5%-მა აღნიშნა, რომ ჩატარებული სესიების რაოდენობა არ იყო საკმარისი. ამ უკანასკნელთა აზრით, უფრო მეტი სესიის ჩატარების შემთხვევაში მხარეები უკეთეს პირობებზე შეთანხმდებოდნენ (იხ. დიაგრამა #55).


დიაგრამა #55



დავის მოგვარების მიზნით ჩატარებული სესიების რაოდენობის კმარობის შეფასების მიხედვით, იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც 2020 წელს აღნიშნავდნენ, რომ საკმარისი რაოდენობის სესია ჩატარდა (81.3) თითქმის 7%-ით ჩამორჩება 2021 წლის სტატისტიკას.

გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი (94%) გარემოს მიმართ, რომელშიც დავის მოგვარების მიზნით მედიაციის სესიები ჩატარდა, საკუთარ კმაყოფილებას, შეფასების 5 ქულიან სკალაზე, დადებით ველში ათავსებს. 6% კი ნეიტრალურ პოზიციას ამჟღავნებს (იხ. დიაგრამა #56).

დიაგრამა #56




აღსანიშნავია, რომ კვლევის ორივე ეტაპზე, გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს იმ გარემოს, რომელშიც სესიები მიმდინარეობდა. თუმცა, მაქსიმალურად კმაყოფილი რესპონდენტების წილის მცირედი ზრდა შეიმჩნევა II ტალღის შემთხვევაში, კერძოდ 8.6%-ით. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევის ორივე ეტაპზე არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია უარყოფითად გარემო, სადაც ტარდებოდა სესიები.

მედიაციის სესიებით მიღწეული შედეგების განხილვისას რესპონდენტების 70.1%-მა აღნიშნა, რომ მათი დავა მორიგებით დასრულდა, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი კი ამბობს, რომ მათ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას. 7.5%-ის (5 რესპონდენტი) შემთხვევაში შეთანხმების მიღწევა ნაწილობრივ მოხდა. მხოლოდ 2-მა (3%) რესპონდენტმა დასძინა, რომ მათ შემთხვევაში მედიატორის დახმარებით მორიგების მიღწევა ვერ განხორციელდა, თუმცა საბოლოოდ მხარეები სასამართლოში მორიგდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი ორი რესპონდენტიდან ორივე აღნიშნავს, რომ სასამართლოში მიღწეულ მორიგებაზე მედიაციის პროცესმა დადებითი გავლენა იქონია (იხ. დიაგრამა #57).

დიაგრამა #57


რა შედეგით დასრულდა დავა?



მედიაციის მეშვეობით დავის მოგვარების თვალსაზრისით, 2021 წელს მოგვარებული დავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, კვლევის მეორე ეტაპზე 2-ჯერ მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ მათ მორიგებას მიაღწიეს; ხოლო იმ რესპონდენტების წილი, რომელთა დავები მორიგებით ვერ დასრულდა, 2021 წლის შემთხვევაში 3-ჯერ დაბალია (2020წ. - 60.4%; 2021 წ. 19.4%).

კვლევაში მონაწილე იმ პირთა 75.9%, რომელთაც აღნიშნეს, რომ მედიაციის გამოყენებით მოგვარდა მათი დავა, ამბობს, რომ მიღწეული მორიგება მხარეების მიერ ნებაყოფლობით შესრულდა. 9.3% კი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ შესრულებულა. რესპონდენტთა 5.6%-ის გამოცდილება კი ცხადყოფს, რომ მიღწეული შეთანხმება აღსრულების წესით შესრულდა (იხ. დიაგრამა #58).

დიაგრამა #58



კვლევის შედეგების შედარებამ აჩვენა, რომ 2020 წელს მედიაციის პროცესის შედეგად წარმატებით/მორიგებით დასრულებული შემთხვევების შემდგომი შესრულება რესპონდენტების მხოლოდ 78.9%-ის შემთხვევაში განხორციელდა ნებაყოფლობით, 2021 წელს კი კვლევაში მონაწილე ასეთ პირთა წილი თითქმის იგივეა (75.9%). ასევე, 2-ჯერ გაიზარდა აღსრულების წესით შესრულებილი შედეგების რაოდენობა.

კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს მედიაციის ცენტრის საქმიანობა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: მხარის ინფორმირება მედიაციის პროცედურების შესახებ, მხარის ინტერესების გათვალისწინება, ცენტრის წარმომადგენელთა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მედიატორის არჩევანის მრავალფეროვნება, ტექნიკური მხარდაჭერა, ცენტრის წარმომადგენლის კომპეტენტურობა. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტები ძირითადად დადებით შეფასებებს აკეთებენ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში - ნეიტრალურს. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა გამოიყენა შეფასების უარყოფითი წერტილი საკუთარი პოზიციის გამოსახატავად მედიაციის ცენტრის მიმართ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ არ ხდება მხარის ინტერესების გათვალისწინება მედიატორის შერჩევის ან სესიების დაგეგმვის პერიოდში. განსაკუთრებით მაღალია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს მედიაციის ცენტრის წარმომადგენელთა კომპეტენტურობა (91%). ამასთან, რესპონდენტების დიდი ნაწილი ტექნიკური მხარდაჭერის და მედიატორებს შორის არჩევანის გაკეთების მრავალფეროვნებას დადებითად აფასებს. ასეთთა წილი თითოეულ შემთხვევაში 89.6%-ია (იხ. ცხრილი #3)


მედიაციის ცენტრის საქმიანობის შეფასება მოცემული პარამეტრების მიხედვით	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად		არც დადებითად და არც უარყოფითად		უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად		დადებითად		არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა	
	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.
მხარის ინფორმირება მედიაციის პროცედურების შესახებ			6	6.3	6	18.8	88.1	64.6		10.4
მხარის ინტერესების გათვალისწინება (მაგ: მედიატორის შერჩევისას, სესიების დაგეგმვის დროს)	1.5		1.5	6.3	9	16.7	88.1	72.9		4.2
ცენტრის წარმომადგენელთა კომუნიკაციის უნარ-ჩვევები			3	6.3	9	20.8	88.1	70.8		2.1
მედიატორის არჩევანის მრავალფეროვნება			3	8.3	7.5	16.7	89.6	83.3		
ტექნიკური მხარდაჭერა (ცენტრის ინფრასტრუქტურა)			1.5	16.7	9		89.6	83.3		
ცენტრის წარმომადგენლების კომპეტენტურობა				2.1	7.5	20.8	91	72.9		4.2
ონლაინ პლატფორმების გამოყენება და მონაწილეების შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა					4.5		74.6		20.9	

მედიაციის ცენტრის საქმიანობის შესახებ რესპონდენტების შეფასებების შედარება აჩვენებს, რომ ჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით 5 ქულიან სკალაზე გაკეთებული შეფასებები 2021 წელს გამოკითხულთა დიდი ნაწილის მიერ შეფასების დადებით ველში თავსდება. კერძოდ, იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც საკუთარი შეფასების გამოსახატავად უკიდურესად დადებითი ქულა (5) გამოიყენეს 74.6%-91%-ს შორის მერყეობს (2021 წელი), 2020 წელს კი 64,6%-83.3%-ს შორის ვარიირებდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მონაცემებით მაქსიმალურად დადებითად რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილის მიერ მედიაციის ცენტრის ინფრასტრუქტურა ფასდებოდა, 2021 წელს კი გამოკითხულთა 91% შეფასების უკიდურესად დადებითი წერტილით მედიაციის ინსტიტუტის წარმომადგენლების კომპეტენტურობას აფასებს.

მედიაციის ზოგადი შეფასება

მედიაციის შესახებ ზოგადი შეფასებების გაკეთებისას, რესპონდენტებმა ისაუბრეს მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მიზანშეწონილობაზე. ამ საკითხთან მიმართებით, გამოკითხულთა 47.8%-ის პოზიციით ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, 23.9%-ს კი მიიჩნევს რომ უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე არა. მაშინ როდესაც 22.3%-ს არ აღემატება მათი ჯამური წილი, რომლებიც ამ უკანასკნელი ორი ჯგუფის საპირისპირო პოზიციას აფიქსირებენ (იხ. დიაგრამა #59).

დიაგრამა #59




მედიაციის პროცესში ადვოკატის/წარმომადგენლის მონაწილეობის მიზანშეწონილობას იზიარებდა 2020 წელს გამოკითხულთა 66.7%, 2021 წელს კი 47.8%. რაც შეეხება მათ რაოდენობებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მსგავსი ქმედება არ არის მიზანშეწონილი, კვლევის მეორე ეტაპზე 10.4% შეადგინა.

გამოკითხულთა 68.7% ამბობს, რომ წარმომადგენლის/ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში დადებითია, რადგან ის ეხმარება მხარეს, რომ მორიგება დასრულდეს მხარისთვის სასურველი შედეგით. კვლევაში მონაწილე პირთა თითქმის მეხუთედს კი მიაჩნია, რომ ადვოკატის როლი დავის მოგვარების პროცესში უმნიშვნელოა და მისი გავლენა მედიაციის პროცესსა თუ საბოლოო შედეგებზე უმნიშვნელოა (იხ. დიაგრამა #60).

დიაგრამა #60

როგორია თქვენი პოზიცია მედიაციის პროცესში წარმომადგენლის/ადვოკატის როლთან დაკავშირებით?



კვლევის შედეგების შედარება ცხადყოფს, რომ მედიაციის პროცესში წარმომადგენლის/ადვოკატის როლს 2020 წელს გამოკითხულთა 87.5% აფასებს, როგორც დადებითს, მაშინ როდესაც იგივე პოზიციას 2021 წელს გამოკითხულთაგან მხოლოდ 68.7% იზიარებს. ასევე, თუ პირველ ეტაპზე გამოკითხულთა 8.3%-ს მიაჩნდა, რომ წარმომადგენლის/ადვოკატის როლი მედიაციის პროცესის დროს უმნიშვნელოა, რადგან ის ვერ ახდენს არსებით ზეგავლენას ვერც მედიაციის პროცესზე და ვერც შედეგებზე, ამავე დამოკიდებულების მქონე პირთა წილი მეორე ეტაპზე გამოკითხულთა თითქმის მეხუთედს უტოლდება.


რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს, მედიაციის პროცესის რომელ ეტაპზე იყო ადვოკატის ჩართულობა სასარგებლო ან უსარგებლო. სტატისტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ რესპონდენტების შეფასებები ვარირებს დადებითიდან უარყოფითისკენ. თუმცა, აღსანიშნავია, უარყოფით შეფასებებს რესპონდენტთა მცირე ნაწილი აკეთებს და ასეთთა წილი თითოეული ეტაპის შეფასებისას არ აღემატება 5.5%-ს. რაც შეეხება დადებით შეფასებებს გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა (თითოეული პარამეტრის შემთხვევაში - 72.7%) თვლის, რომ ადვოკატის ჩართულობა სასარგებლო იყო მორიგების პირობების ჩამოყალიბების დროს და მედიაციაში ინტერესების გამოკვლევის ეტაპზე. ადვოკატის ჩართულობას შეთავაზებების გაცვლის პროცესში სასარგებლოდ აფასებს გამოკითხულთა 69.1%, რეალობის დატესტვისას (როცა მედიატორმა მხარეს შეაფასებინა დავის სასამართლო პოტენციალი) კი 67.3%. რესპონდენტთა უმრავლესობა (65.5%), ასევე, სასარგებლოდ მიიჩნევს ადვოკატის ჩართულობას მედიაციის საწყის ეტაპზე, როდესაც ხორციელდება მხარეების ინფორმირება მედიაციის შესახებ. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით ნეიტრალურ შეფასებებს ავლენენ მერყეობს 1.8%-დან 7.8%-მდე (იხ. ცხრილი #4).

მედიაციის პროცესის რომელ ეტაპზე იყო ადვოკატის ჩართულობა სასარგებლო, ან უსარგებლო	უსარგებლო		უფრო უსარგებლო, ვიდრე სასარგებლო		არც სასარგებლო და არც უსარგებლო		უფრო სასარგებლო, ვიდრე უსარგებლო		სასარგებლო		მიჭირს პასუხის გაცემა	
	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.	2021 წ.	2020 წ.
	2021 (N=48) 2020 (N=31)											
საწყის ეტაპზე, როდესაც მოხდა მხარეების ინფორმირება მედიაციის შესახებ	5.5			7.3	12.9	14.5	6.5	65.5	80.6	7.3		
მედიაციაში ინტერესების გამოკვლევის ეტაპზე	3.6	1.8	1.8	16.1	12.7	16.1	72.7	67.7	7.3			
რეალობის დატესტვისას - როცა მედიატორმა მხარეს შეაფასებინა დავის სასამართლო პოტენციალი	3.6	1.8	3.6	12.9	12.7	3.2	67.3	83.9	10.9			
შეთავაზებების გაცვლისას	3.6	1.8	7.3	9.7	10.9	6.5	69.1	83.9	7.3			
მორიგების პირობების ჩამოყალიბების დროს	3.6	1.8	1.8	9.7	10.9	3.2	72.7	87.1	9.1			

იმ საკითხის 5 ქულიან სკალაზე შეფასებისას, თუ რამდენად სასარგებლოა მედიაციის პროცესის გარკვეულ ეტაპებზე ადვოკატის ჩართულობა, კვლევის პირველ ეტაპზე რესპონდენტების მიერ გაკეთებული შეფასებები ვარირებს დადებითიდან ნეიტრალურისკენ. აღსანიშნავია, რომ ისინი უარყოფით შეფასებებს არ აკეთებენ. ამისგან განსხვავებით, 2021 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებში უარყოფითი შეფასებებიც ვლინდება. 2020 წლის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი ადვოკატის ჩართულობას სასარგებლოდ მიიჩნევს შეთავაზებების გაცვლის პროცესში და რეალობის დატესტვისას (როცა მედიატორმა მხარეს შეაფასებინა დავის სასამართლო პოტენციალი) (83.9% თითოეული პარამეტრის შემთხვევაში). 2021 წლის მონაცემებით კი გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი ადვოკატის ჩართულობას სასარგებლოდ მორიგების პირობების ჩამოყალიბების დროს და მედიაციაში ინტერესების გამოკვლევის ეტაპზე მიიჩნევს (72.2% თითოეული პარამეტრის შემთხვევაში).

კვლევაში მონაწილე პირებმა საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს სასამართლოსთან შედარებით მედიაციის უპირატესობების შესახებ. გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (23.2%) ერთ-ერთ უპირატესობად დავის პროცესის მოკლე დროში დასრულებას თვლის. 17.7%-სთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კონფიდენციალობის გარანტია. 16.9% კი მხარეებს შორის მორიგება/შეთანხმების უკეთესი შესაძლებლობების არსებობას უსვამს ხაზს. გამოკითხულთა 14.3%-თვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარემო, სადაც დავის გადაწყვეტა მიმდინარეობს, იმდენად რამდენადაც მათი შეფასებით საკითხის განხილვა სასამართლოსთან შედარებით ნაკლებად სტრესულ გარემოში ხორციელდება. რესპონდენტთა 10.5% კი ერთ-ერთ უპირატესობად მედიატორის, როგორც მომრიგებლის მონაწილეობას მიიჩნევს. მათი წილი, რომლებიც უპირატესობად სახელმწიფო ბაჟის გადასახადის შედარებით ნაკლებ ოდენობას ან ადვოკატის/იურისტის დაქირავების აუცილებლობის არარსებობას ასახელებს 9.3%-ს არ აღემატება (თითოეული პარამეტრის შემთხვევაში). ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დავაში ჩართული პირებისთვის/კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია ბიზნეს დავის გადაწყვეტისთვის დათმობილი დრო და კონფიდენციალურობის საკითხი (იხ. დიაგრამა #61).

თქვენი აზრით, რა უპირატესობა აქვს მედიაციის გამოყენებას სასამართლოსთან შედარებით?




სასამართლოსთან შედარებით მედიაციის უპირატესობებზე საუბრისას კვლევის ორივე ეტაპზე გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა დროის დაზოგვა დაასახელა (2020წ. – 20.1%; 2021წ. – 23.2%). ამასთან, პირველ ეტაპზე გამოკითხულთა 19.6% უპირატესობად თუ თვლიდა იმ ფაქტს, რომ საკითხის განხილვა სასამართლოსთან შედარებით ნაკლებად სტრესულ გარემოში მიმდინარეობს, 2021 წელს იგივე შეფასება გამოკითხულთა მხოლოდ 14.3%-მა გააკეთა. კონფიდენციალობის გარანტია კვლევის მეორე ეტაპზე შედარებით მეტი რესპონდენტისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ვიდრე პირველ ტალღაზე.

გარდა უპირატესობებისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ ძირითად ნაკლოვანებებზე, რომლებიც მედიაციას სასამართლოსთან შედარებით გააჩნია. კერძოდ, ასეთად გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი ასახელებს შემდეგ საკითხებს: მხარეებს შორის მოურიგებლობის შემთხვევაში საქმეს ისევ სასამართლო განიხილავს, რაც ნიშნავს დროის დაკარგვას (38.9%) და მხარემ შესაძლოა არ ჩათვალოს სავალდებულოდ მორიგების პირობების შესრულება (36.8%). რესპონდენტთა 15.8%-ის მიერ სასამართლოსთან შედარებით მედიაციის ნაკლოვანებად სხვადასხვა ტიპის საქმეებზე მისი მოქმედების გავრცელების შეზღუდული დიაპაზონი დასახელდა (იხ. დიაგრამა #62).

დიაგრამა #62

რა ნაკლოვანებები აქვს მედიაციის გამოყენებას სასამართლოსთან შედარებით?




აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების მიერ კვლევის ორივე ეტაპზე დასახელებულ ნაკლოვანებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ ვლინდება. რესპონდენტების პროცენტული განაწილება დასახელებული ნაკლოვანებების მიხედვით ორივე ეტაპზე თითქმის თანაბარია.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 85.1% შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, დავის მოსაგვარებლად, სასამართლოს მედიაციის მექანიზმის გამოყენებას არჩევდა. ამათგან 61.2% აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც აუცილებლად არჩევდნენ მედიაციას, 23.9% კი, უფრო არჩევდა, ვიდრე არა. კვლევაში 12%-ს არ აღემატება მათი წილი, რომლებიც სასამართლოს მედიაციას არ არჩევდნენ. (იხ. დიაგრამა #63)

დიაგრამა #63


არჩევდით თუ არა მედიაციის მექანიზმის გამოყენებას სასამართლოსთან შედარებით? N=67



2020-2021 წლების კვლევების შედეგად ცხადყოფს, რომ ორივე ეტაპზე გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, მომავალში მედიაციის მექანიზმს უფრო გამოიყენებს, ვიდრე სასამართლოს.

შესაბამისი გამოცდილების მქონე რესპონდენტებმა შეაფასეს მედიაციით, როგორც პროცესით, კმაყოფილება. გამოკითხულთაგან დიდი უმრავლესობა (86.6%) აღნიშნავს, რომ კმაყოფილია მედიაციით, როგორც პროცესით. ამათაგან 49.3% სავსებით კმაყოფილია. კვლევაში მონაწილე პირთაგან პროცესით უკმაყოფილო მხოლოდ ერთი რესპონდენტი აღმოჩნდა. ნეიტრალური პოზიცია კი 11.9%-მა დაფიქსირა (8 რესპონდენტი) (იხ. დიაგრამა #64).

დიაგრამა #64




მედიაციის პროცესით კმაყოფილების შეფასების თვალსაზრისით, 2020 წელს უფრო მნიშვნელოვნად დაბალი იყო იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სავსებით კმაყოფილები იყვნენ მათთვის განეული მომსახურებით, ვიდრე 2021 წელს (2020წ. - 16.7%; 2021წ. - 49.3%). უკმაყოფილო რესპონდენტების წილი ორივე შემთხვევაში დაბალია.

გამოკითხულთა 71.6% ამბობს, რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში მისცემდა სხვებს რეკომენდაციას/რჩევას, რომ მიემართათ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის - მედიაციის გზისთვის. მხოლოდ 9% (6 რესპონდენტი) ამბობს, რომ უფრო არ ურჩევდა, ვიდრე კი (იხ. დიაგრამა #65).

დიაგრამა #65

ურჩევდით თუ არა სხვას რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს მედიაციით?



კვლევის ორივე ეტაპზე გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში მისცემდა სხვებს რეკომენდაციას/რჩევას, რომ მიემართათ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის - მედიაციის გზისთვის (2020წ. – 68.8%; 2021წ. 71.6%). ამასთან, პირველ ეტაპზე გამოკითხულთა 6.3% ამბობდა, რომ უფრო არ ურჩევდა სხვებს მედიაციის გამოყენებას, ვიდრე კი მსგავს პოზიციას 2021 წლის კვლევაში გამოკითხულთა 9% აკლენს.